ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/13361337-16 04 03 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ფეიქრების ქუჩა, №14-ში, (ნაკვ. №004/011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №283866 27.07.2012წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ფეიქრების ქუჩა, №14-ში, (ნაკვ. №004/011) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-ზ" ფასადი: „ა-გ" მონაკვეთში ვიტრაჟებზე დამატებით მოწყობილია ლითონის ფურცლები. „ა-ბ" მონაკვეთში +0.740 და +3.830 ნიშნულებს შორის დამატებით მოწყობილია ფრამუგა რომელიც გარედან შევსებულია. „ბ-გ" მონაკვეთში +3.830 და +6.940 ნიშნულებს შორის დამატებით მოწყობილია ფრამუგა. „გ-გ" ღერძთან +3.830 ნიშნულის ქვევით ვიტრაჟები ნაწილობრივ შესამინია. „გ-დ" მონაკვეთში შეცვლილია კარის და ვიტრაჟის ნახატი, აღნიშნულ მონაკვეთში კედლები გაზრდილია სიგრძეში 0.40 მ-ით.

„ზ-ა" ფასადი: „დ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი.

„1-6" ფასადი: „3-3" ღერძთან შეცვლილია მოპირკეთების ფორმა. „3-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

„6-1" ფასადი: „2-1" მონაკვეთში +3.830 და +6.940 ნიშნულებს შორის დამატებით მოწყობილია ფრამუგა. „3-1" მონაკვეთში ვიტრაჟები ნაწილობრივ ამოშენებულია. „6-6" ღერძის მარცხნივ ფანჯარა შესამინია, ასევე დამატებით მოწყობილია ლითონის გისოსი, საფეხურებზე მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლით. სვეტები, ხოლო +2.600 ნიშნუთან, სახურავის ძირში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

ფასადებზე არ არის შესრულებული საფასადე ბლოკით მოპირკეთება, ასევე არ არის მოხსნილი ხარაჩოები.

„3-2" მონაკვეთში „ა-ა" ღერძის მარჯვნივ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. ტერიტორია კეთილმოსაწყობია.

რაზედაც ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს მიერ არ იქნა გაცემული დადებითი დასკვნა (დასკვნის №1137548 26.02.2014წ. განაცხადის ნომერი: AR 1198727)

ქ. თბილისის მერია ზედამხედველობის სამსახური CITY HALL

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ" საქართველოს კანონის 103[1]-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბი-ეს-სი-ელკაბელ ინკ"-ს, მალხაზ დათუკიშვილს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ფეიქრების ქუჩა, №14-ში, (ნაკვ. №004/011) მდებარე შენობა-ნაგებობის

(საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. ალნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13361337-16 27.12.2013წ. განცხადება.
წ-№12/13361337-16 23.01.2014წ. ბრძანება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

